თეკლა ჯოლბორდი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ტურიზმის სკოლა

ანჟერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

2026 წლის გაზაფხულის სემესტრი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი პერიოდი იყო. Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობა მომეცა, ერთი სემესტრი საფრანგეთში, ანჟერის უნივერსიტეტში მესწავლა. საზღვარგარეთ სწავლა ჩემი დიდი ოცნება იყო, თუმცა ამ ოცნების რეალობად ქცევას თან ახლდა გარკვეული შიშები. საბოლოოდ, გადავწყვიტე ეს ნაბიჯი გადამედგა, გამოვსულიყავი კომფორტის ზონიდან და საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ შემეძლო სრულიად ახალ გარემოსთან ადაპტირება.

ანჟერის უნივერსიტეტში გატარებულმა პერიოდმა არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პიროვნული განვითარების შესაძლებლობაც მომცა. განსხვავებულმა სასწავლო გარემომ და პროფესიონალ ლექტორებთან ურთიერთობამ დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი აზროვნება, აქტიური ჩართულობა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

განსაკუთრებით საინტერესო იყო სხვა ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის გაცნობა. მიღებულმა გამოცდილებამ საშუალება მომცა, უფრო ღრმად გავცნობოდი ჩემთვის საინტერესო თემებს და ფართოდ დამენახა, როგორ ვითარდება ეს სფერო სხვადასხვა ქვეყანაში და რა მიდგომებს იყენებენ მისი უკეთ განვითარებისთვის.

ამასთანავე, Erasmus+ პროგრამა ჩემთვის ბევრად მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ სწავლა. ეს იყო შესაძლებლობა, გამეცნო ახალი კულტურა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, შემეძინა ახალი მეგობრები და დამოუკიდებლად მეცხოვრა უცხო გარემოში. ვისწავლე უფრო თავდაჯერებულად გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემებთან გამკლავება და საკუთარი შესაძლებლობების უკეთ დანახვა.

დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გაცვლითმა პროგრამამ ჩემში ბევრი რამ შეცვალა. ამ გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ზოგჯერ ყველაზე დიდი შესაძლებლობები სწორედ მაშინ იწყება, როცა საკუთარ შიშებს ვუპირისპირდებით და ერთი ნაბიჯით მაინც ვტოვებთ ნაცნობ და კომფორტულ გარემოს. ეს სემესტრი ჩემთვის არა მხოლოდ საზღვარგარეთ სწავლის ოცნების ასრულება, არამედ პიროვნული ზრდის, საინტერესო ადამიანებისა და საკუთარი თავის აღმოჩენის დასაწყისი იყო.